პეტროგრაფიისა და ლითოლოგიის განახლებული ლაბორატორია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი ახალ 2016-2017 სასწავლო წელს პეტროგრაფიისა და ლითოლოგიის განახლებული ლაბორატორიით შეხვდა.

რექტორატის დახმარებით შეძენილია ახალი, თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 9 სტუდენტური მიკროსკოპი. ჩვენს ლაბორატორიაში მიკროსკოპები გასული საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ არ განახლებულა. თვითდაფინანსებით, ცენტრის შემოსავლებიდან შემოსული თანხით გამოიცვალა ლაბორატორიის იატაკი, ავეჯი, დამონტაჟდა მძლავრი მიკროსკოპი, რომელიც მიერთებულია კომპიუტერთან და მისი საშუალებით შესაძლებელია ქანმაშენი მინერალებისა და ქანების ეტალონური ნიმუშების პრეზენტაციების ჩვენება პროექტორით, რაც სტუდენტებს ახალი ინფორმაციის თვალნათლივ აღქმის საშუალებას მისცემს.



სტუდენტური მიკროსკოპები გამოყენებული იქნება პეტროგრაფიის, ლითოლოგიისა და გეოქიმიის ლაბორატორიული მეცადინეობების ჩასატარებლად.

შეივსო მაგმური, მეტამორფული და დანალექი ქანების ქვიური მასალა და შლიფების კოლექცია, წინა წლებში მომზადებულია მაგმური ქანებისა და მათი ქანმაშენი მინერალების კოლექციების კატალოგი, მომზადების პროცესშია დანალექი და მეტამორფული ქანების კოლექციების კატალოგები.

პეტროგრაფიისა და ლითოლოგიის ლაბორატორია სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს.